ალმრო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 14 (270). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 23 ივლისი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის და აჭარის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე


მოსკოვი, კრემლი,

1971 წლის 15 ივლისი

ხალხის სამსახურში

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ერთი თვის თავზე, 12-13 ივლისს, თბილისში, უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. (იხილეთ მე-3 გვერდი).



ზაფხულია. ბარში თაკარა მზე აცხუნებს. ადამიანებმა დასასვენებლად საქართველოს ზღვისპირეთსა და მთიანეთს მიაშურეს. ბევრი სტუმარი ჰყავს ახლა რაჭის უმშვენიერეს კურორტ შოვს. გრილი ნისლი აბურავია დათოვლილ მთებს, ხერები მარადმწვანე ხეებით არის დახურული, პატარა ველები და მდელოები კი უყვავილებით მოხატული. ბუნების ამ ულამაზეს წიაღში ისვენებენ და უყურებენ ჩარიხებენ ეს გოგონებიც.

სურათს კ. ლილაშვილის ფოტო.

მზადება კოტე მარჯანიშვილის იუბილესათვის

ვაიმართა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური კომისიის პირველი სხდომა. სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე, განიხილეს და დაამტკიცეს იუბილეს მოწყობის ღონისძიებათა გეგმა.

საზეიმო საიუბილეო სხდომა გაიმართება 1972 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. საიუბილეო სალამოები მოეწყობა აგრეთვე ბათუმში, ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

საიუბილეო დღეებში კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება საქართველოს თეატრალური საზოგადოების საზეიმო პლენუმი საბჭოთა კავშირის მრავალრესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა წარმომადგენლებთან ერთად.

გადაწყდა რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენებზე აღადგინონ რეჟისორის საუკეთესო დადგმები.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტთან ერთად მოაწყობს მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას.

გამოიცემა რეჟისორის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრებული, აგრეთვე მონოგრაფია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამოვა დასურათხატებული ალბომი კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. სურათების გალერეის შენობაში მოეწყობა დიდი რეჟისორისადმი მიძღვნილი გამოფენა.

1972 წელს დაწესდება კოტე მარჯანიშვილის სახელობის ერთი პრემია სეზონის საუკეთესო სპექტაკლისათვის. განზრახულია იუბილეს დღისათვის ქალაქ თბილისში დაიდგას რეჟისორის ძეგლი. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ გამოუშვებს დოკუმენტურ სურათს „კოტე მარჯანიშვილი“, აღადგენს და გაახმოვანებს კოტე მარჯანიშვილის მიერ შექმნილ კინოფილმს „სამანიშვილის დედინაცვალი“.

სხდომაზე გამოვიდნენ საიუბილეო კომისიის წევრები: ვიქტორია სირაძე, დავით ჩხიკვაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, დიმიტრი ალექსიძე, დოდო ანთაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, უჩა ჯაფარიძე, ბესარიონ ჟღენტი, სიკო დოლიძე, აპოლონ ქუთათელაძე, შალვა სალარიძე, ეთერ გუგუშვილი.

ზეიმი აჭარაში

დიდი დღესასწაული ეწვია აჭარის მიწა-წყალს. აჭარის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ 50 წლისთავის იუბილე გადაიხადა. მწვანედ აფეთქებული აჭარის დედაქალაქი სტუმრებს ვერ იტევდა. ნათელი დღესასწაული იგრძნობოდა ყველა ქუჩაზე, ყოველ სახლში. სადღესასწაულო რიტმი სუფევდა ბათუმის ნავსადგურში, საკონცერტო დარბაზებში, კულტურის სახლებში, თეატრებში, კულტურისა და დასვენების პარკებში... მნახველთ ატყვევებდა მასპინძელთა საამო სიმღერები და ცეკვები.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც 16 ივლისს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ძველი ბოლშევიკები, სტუმრები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე**, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ოთარ ლოლაშვილი**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე თხილაიშვილი**, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლევან დავითაძე**, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დავით დიასამიძე**, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, მინისტრები, აჭარის სახალხო მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრები.

მოხსენებით — „აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 50 წლისთავი“ გამოვიდა ალექსანდრე თხილაიშვილი.

სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში რესპუბლიკის დროშას, რომელიც დარბაზში აჭარის მოწინავე ადამიანებმა შემოიტანეს, სამშობლოს დიდი ჯილდო მიაბნია.

შემდეგ ვასილ მჟავანაძემ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისადმი, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსადმი. ვასილ მჟავანაძემ საზეიმო სხდომაზე პრეზიდიუმს გადასცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი ადრესი.

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წარმომადგენლები, ძველი კომუნისტები, შრომის მოწინავეები, ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

იმავე დღეს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ზეიმმა კიდევ ერთხელ ცხადყო ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალა, რომელმაც მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და დაჩაგრული კუთხე აყვავებულ ავტონომიურ რესპუბლიკად გადააქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი




გიორგი ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.



მიხეილ ლელაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.



ბაგრატ შინკუბა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.




დავით დიასამიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.



ზინაიდა კვაჭაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.



ბორის ბარსუკოვი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ალექსი ბატიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ზნაურ გასიევი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



თამარ თავაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



როინ მეტრეველი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ვასილ მჟავანაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ჯუმბერ პატიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



სიმონ პეტროსიანი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



სერგო სიხარულიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



რუსუდან ციცაგი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ალექსანდრე ჭითანავა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



გურამ ჭოლოშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.




უჩა ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



რუსუდან ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები



ირაკლი აბაშიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.



ბარბარა გრიგალაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



შოთა შაკაია,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ლილი ხოზრევანიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ალიხან ხუგაევი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ხალხის სამსახურში

(დასასრული).

სესია გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა, აკადემიკოსმა **აკაკი შანიძემ**. მან დამსწრეთ მიმართა:

„...ამხანაგო დეპუტატებო!

ამომრჩევლებმა დიდი ნდობა გამოგვიცხადეს და წარმოგვგზავნეს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ დაზოგავს თავს, არ დაიშურებს ცოდნასა და გამოცდილებას, რომ ეს დიდი ნდობა გაამართლოს. დეპუტატი ხალხის მსახურია და ჩვენ ვალდებული ვართ მთელი მონდომებით ვემსახუროთ მას, ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ...“

შემდეგ საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად უმაღლესი საბჭო შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე** — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის კვალითის საარჩევნო ოლქისაგან; თავმჯდომარის მოადგილეებად — **ბარბარა გრიგალაშვილი** — დეპუტატი თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქისაგან, **შოთა შაკაია** — დეპუტატი ქალაქ ტყვარჩელის კვეზანის საარჩევნო ოლქისაგან, **ლილი ხოზრევანიძე** — დეპუტატი შუახევის რაიონის შუახევის საარჩევნო ოლქისაგან; **ალიხან ხუგაევი** — დეპუტატი ჯავის რაიონის ქვაისის საარჩევნო ოლქისაგან.

სესიის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა. 2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა. 3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. 4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა. 5. საქართველოს სსრ მთავრობის — მინისტრთა საბჭოს შექმნა. 6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა. 7. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცება.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებულებათა შესამოწმებლად სესიამ აირჩია სამანდატო კომისია 19 კაცის შემადგენლობით.

სესიამ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 14 მუდმივმოქმედი კომისია:

საგარეო საქმეთა კომისია, თავმჯდომარე **მიხეილ გოგიტიძე**.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისია, თავმჯდომარე **შოთა ჭანუყვაძე**.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისია, თავმჯდომარე **ნიკოლოზ ცხაკაია**.

მრეწველობის კომისია, თავმჯდომარე **ზურაბ ჩხეიძე**.

სოფლის მეურნეობის კომისია, თავმჯდომარე **პეტრე ყლენტი**.

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისია, თავმჯდომარე **ნიკოლოზ ესაკია**.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია, თავმჯდომარე **ნიდარ ბერიძე**.

სახალხო განათლების და მეცნიერების კომისია, თავმჯდომარე **იოსებ ბუაჩიძე**.

კულტურის კომისია, თავმჯდომარე **სერგო რიგვავა**.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია, თავმჯდომარე **პეტრე გელბახიანი**.

ახალგაზრდობის საქმეთა კომისია, თავმჯდომარე **ოთარ ჩერქეზია**.

ეკრობისა და საზოგადოებრივი კავშირების კომისია, თავმჯდომარე **მელიტონ დანელია**.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისია, თავმჯდომარე **ნინო უვანია**.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ბუნების დაცვის კომისია, თავმჯდომარე **გიორგი ნატროშვილი**.

შემდეგ სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის, დეპუტატ **ზინაიდა კვაჭაძის** მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ. დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიებს შუა პერიოდში მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

სესიაზე წაოკითხეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **გივი ჯავახიშვილის** განცხადება, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობა იხსნის რწმუნებულებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვასილ მჟავანაძემ** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით შეიტანა წინადადება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ დაინიშნოს დეპუტატი **გივი ჯავახიშვილი** და დაევალოს მას წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წინადადება რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

სესიამ მოიწონა ეს წინადადება.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის **სანო მიქაძის** მოხსენება და დაადგინა: „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე ცნობილი იქნეს ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატის რწმუნებულებანი“.

შემდეგ უმაღლესი საბჭო გადავიდა დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვასილ მჟავანაძემ** შემოიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქნეს დეპუტატი — **გიორგი ძოწენიძე**.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დეპუტატ **გიორგი ძოწენიძეს** (ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ **გიორგი ძოწენიძის** წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს **მიხეილ ლელაშვილი** — დეპუტატი გურჯაანის რაიონის ვეჯინის საარჩევნო ოლქისაგან, **ბაგრატ შინკუბა** — დეპუტატი ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქისაგან — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, **დავით დიასამიძე** — დეპუტატი ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საარჩევნო ოლქისაგან — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად აირჩიეს **ზინაიდა კვაჭაძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის მშენებელთა საარჩევნო ოლქისაგან. სესიამ აირჩია აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 14 წევრი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მთლიანი შემადგენლობა სურათებით გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე).

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ დაიწყო რესპუბლიკის მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის საკითხის განხილვა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცეს **გივი ჯავახიშვილი**, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად — **შალვა კოკნაძე**, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად — **ზაალ გელდიაშვილი, ვალერიან ვადაჭკორია, არჩილ ლაბახუა, ვიქტორია სირაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ — **ერმალო ჯაფარიძე**.

უმაღლესმა საბჭომ რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში დაამტკიცა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები... საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის საფუძველზე შევიდნენ ავტონომიური რესპუბლიკების (აფხაზეთისა და აჭარის) მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთლიანი შემადგენლობა სურათებით გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-4 და მე-5 გვერდებზე).

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა“ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **გივი ჯავახიშვილი**.

მოხსენების გამო კამათში გამოსულმა დეპუტატებმა დაწვრილებით განიხილეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის პირველი ნახევრის შედეგები, ილაპარაკეს, თუ როგორ მუშაობენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

განხილული საკითხის გამო საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გივი ჯავახიშვილმა**. მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის ბოლო საკითხის განხილვას. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოციალის მეურნეობის შედგენილი კომისიის თავმჯდომარე პროფესორი **პეტრე ყლენტი**.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი ერთხმად აღნიშნავდნენ განსახილველი საკითხის დიდ სახელმწიფო მნიშვნელობას. მთელი მიწების სწორი, უფრო მიზანშეწონილი გამოყენება, მათი დაცვა, ნიადაგთა ნაყოფიერების ყოველწლიურად გადიდება შეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს რესპუბლიკის მიწის სიმდიდრის ეკსპლოატაციის საქმეში უფრო მკაცრი წესების დამყარებას. კოდექსის პროექტი ყველა მიწის მოსარგებლეს ავალებს არ დაუშვას დაჭაობება, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, მიწების გაჭუჭყიანება და სხვა, რაც ასუსტებს ნიადაგს.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

თითოეულმა საკითხმა, რომელსაც დეპუტატები ხმა ილაივებდნენ, თითოეულმა დადგენილებამ ასახა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მისწრაფება ერთგულად ემსახუროს ხალხს, გააძლიეროს ამომრჩეველთა ნდობა, მიაღწიოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო აყვავებას.



სურათზე: ცეკვა „ყაზბეგეშური“. ასრულებენ მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

გიორგი გოგოხიას ფოტო

ჰაპპრების დიდი ხელოვნება

უზარმაზარი სცენა. ათასი ბავშვი! დიდებულად ჟღერს კომპოზიტორ აღქსანდრე შავერზაშვილის სიმღერა, რომელსაც თბილისის 1-ლი, 38-ე, 43-ე, 66-ე, 97-ე და 131-ე საშუალო სკოლების გაერთიანებული გუნდი ასრულებს. უკანასკნელი ჰანგები და ხალხით გაჭედილ დარბაზში ტაშმა იფეთქა...

ასე დამთავრდა საქართველოს დედაქალაქში მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელიც შვიდ დღეს გრძელდებოდა თბილისის უდიდეს საკონცერტო დარბაზში — სახელმწიფო ფილარმონიის ახალ შენობაში.

ჩვენი ნორჩების ეს შესანიშნავი ზეიმი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს და ამიტომ გასაგებია ის დიდი მღელვარება და პასუხისმგებლობა, რომლითაც მოეკიდნენ პატარები და მათი ალმზრდელები ოლიმპიადის გამართვას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა 1940 წელს გაიმართა. ომის დამთავრების შემდეგ ეს საუცხოო ტრადიცია გაგრძელდა. ახლა ყოველ ორ-სამ წელიწადში მოწმენი ვართ ჩვენი ახალგაზრდა თაობის მხატვრული თვითმოქმედების დიდი ზეიმისა.

წლევანდელი, მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის პირველ ტურში 300.000-მდე ბავშვი მონაწილეობდა, დასკვნითში — 30.000-მდე. ეს ნიშნავს, რომ მოზარდი თაობის ამ შესანიშნავ ფორუმში ჩაბმული იყო თითქმის ყოველი მესამე მოსწავლე.

რა მიზანს ისახავს ოლიმპიადა?

ოლიმპიადის მიზანია მოსწავლეთა შორის მხატვრული, ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესება, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცება, ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი მისწრაფების განვითარება, მოსწავლეთა საუკეთესო მხატვრული ნამუშევრის გამოვლინება, მათი შემოქმედებითი მიღწევების პოპულარიზაცია.

მე-7 ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყვნენ საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივები, ვოკალური და საკრავიერი ანსამბლები, ხალხური, სასულე, სიმფონიური და საესტრადო ორკესტრები, დრამატული წრეები, თოჯინების თეატრები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები, ინდივიდუალური შემსრულებლები საბავშვო საოპერო და საბალეტო ჯგუფები... ვნახეთ სახვითი ხელოვნების ნორჩი ოსტატების ნამუშევრები — მხატვრობა, ქანდაკება, კერამიკა, ჭედურობა, ხის მხატვრული დამუშავება, ქსოვა, ლინოგრავიურა და სხვა.

ოლიმპიადამ გაგვახარა თავისი მასშტაბურობით, საერთო საშემსრულებლო დონით, მრავალფეროვნებით, ასაკის შესაფერი რეპერტუარით, ჩაცმულობით.

ავტორიტეტულმა და მკაცრმა ჟიურიმ (მასში შედიოდნენ ხელოვნების ცნობილი ოსტატები) საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ აღიარა თბილისის მხატვრული აღზრდის საბავშვო თეატრის სპექტაკლი „ფიფქა და შვიდი ჯუჯა“, თბილისის 69-ე საშუალო სკოლის დრამატული წრის დადგმა „იყავ მზად, თქვენი აღმატებულებავ“, ფოთის მე-5 საშუალო სკოლის მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „ოდა საქართველოზე“, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლის ლიტერატურულ-მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ჩემი სამშობლო“, თბილისის 41-ე საშუალო სკოლის საბავშვო ოპერეტა „ჯადოსნური სიზმარი“, თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ოპერა „ყვავილების რევოლუცია“, ჭიათურის 1 საშუალო სკოლის ოპერეტა „თამრიკო და ბეკეკა“, თბილისის 43-ე საშუალო სკოლის სპექტაკლი“ ფოჭი ღრუტუნა“, მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლის სპექტაკლი „ტყის შეგობრები“ და სხვა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები თუ ინდივიდუალური შემსრულებლები.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული კითხვის წრის წევრებმა, თელავის 1 საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდმა, ნაფარეულის სკოლის მოსწავლეთა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა, ქვემო სვანეთის გუნდმა, ყაზბეგელი მოსწავლეების კოლორატურულმა ცეკვებმა და სიმღერებმა, სამხრეთ ოსეთიდან — ოსი გოგონების ფერხულმა, გორის, ფოთის, აჭარის, აფხაზეთის სკოლების მოსწავლეთა გამოსვლებმა.

პროგრამის მომზადებაში ნორჩებს ეხმარებოდნენ ლოტბარები და რეჟისორები, ქორეოგრაფები და მუსიკოსები. შეიქმნა მძლავრი ადგილობრივი კადრი, რომელიც ხელს უწყობს მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის განვითარება-განმტკიცებას.

ოლიმპიადას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს განათლების სამინისტრო, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი.

საქართველოს სსრ მ



გივი ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.



შალვა კიკნაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი.



ზაალ გელდიაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ვალერიან ვადაჭკორია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



არქიპო ლაბახუა,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ვიქტორია სირაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



[illegible]



ადოლფ ხუროძე,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.



ვახტანგ პაატაშვილი,
საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი.



ოთარ თაქთაქიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.



გიორგი ქობულია,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.



მიხეილ ჩხეიძე,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.



ფატმა დუმბაძე,
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.



[illegible]



მიხეილ თოფურიძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.



გიორგი ჯიბლაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.



არჩილ ჭირაქაძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.



ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.



შოთა დოლიძე,
საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი.



გივი დუჩიძე,
საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.



ვახტანგ [illegible],
[illegible] სსრ ჯან[illegible] მინისტრი.



შალვა სალარიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



გიორგი ხუციშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



მიტროფანე კუჭავა,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



მიხეილ ჩიქოვანი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



დავით შარაშიძე,
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილ-ბოსტნის“ თავმჯდომარე.



კონდრატე ციმაკურიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



ივანე ხ[illegible],
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რ[illegible]ბლიკური გაერთ[illegible]ანების — „საქს[illegible]ტექნიკის“ თავმჯ[illegible]ომარე.

მინისტრთა საბჭო



ი,
ტრთა
დგილე,
ტრთა
ებმუ
რე.



ვასილ ჩოფიკაშვილი,
საქართველოს სსრ
ადგილობრივი მრეწველობის
მინისტრი.



თამარ ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ
განათლების
მინისტრი.



მიხეილ ნარსია,
საქართველოს სსრ
დამზადების
მინისტრი.



ვახტანგ თოხაძე,
საქართველოს სსრ
ვაჭრობის
მინისტრი.



ვლადიმერ მაისურაძე,
საქართველოს სსრ
იუსტიციის
მინისტრი.



კონსტანტინე ქავთარაძე,
საქართველოს სსრ
კავშირგაბმულობის
მინისტრი.





გიორგი რობიტაშვილი,
საქართველოს სსრ
საავტომობილო გზების
მინისტრი.



თეიმურაზ დავითაშვილი,
საქართველოს სსრ
საავტომობილო ტრანსპორტის
მინისტრი



მიხეილ ღვინჯილია,
საქართველოს სსრ
საბჭოთა მეურნეობების
მინისტრი.



იოსებ ხარატიშვილი,
საქართველოს სსრ
სასოფლო მშენებლობის
მინისტრი.



სიმონ ლორთქიფანიძე,
საქართველოს სსრ საშენ
მასალათა მრეწველობის
მინისტრი.



იოსებ რთველიაშვილი,
საქართველოს სსრ
სოფლის მეურნეობის
მინისტრი.





ირაკლი ციციშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს მშენებლობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარე.



ვიქტორ კვარაცხელია,
საქართველოს სსრ სახალხო
კონტროლის კომიტეტის
თავმჯდომარე.



გივი მიქელაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს მეცნიერებისა და
ტექნიკის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე.



კარლო გარდაფხაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს ტელევიზიისა და
რადიომაუწყებლობის
სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარე.



მიხეილ ჩიხლაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე.



ალექსი ინაური,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული
სახელმწიფო უშიშროების
კომიტეტის თავმჯდომარე.



თა



მიხეილ კოდუა,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს მატერიალურ-
ტექნიკური მომარაგების
მთავარი სამმართველოს
უფროსი.



გიორგი ბარქიმოვი,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი.



გრიგოლ ჟორჟიკაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული
ცენტრალური სტატისტიკური
სამმართველოს უფროსი.



ალექსანდრე განგია,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს სამონტაჟო და
სპეციალურ სამშენებლო
სამუშაოთა სამმართველოს
უფროსი.



პავლე გილაშვილი,
აფხაზეთის ასსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე.



ლევან დავითაძე,
აჭარის ასსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე.

დიახ, ქართველი ვარ!



ქართველი ხალხის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი, გამოჩენილი საბჭოთა პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი პირადად იცნობდა და ერთგულად შეგობრობდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავ წარმომადგენლებს — ჩვენი ეკრანის სიამაყეს, ულამაზეს მსახიობ ქალს ნატო ვაჩნაძეს. ცნობილ კინორეჟისორს ნიკოლოზ შენგელაიას, სახელგანთქმულ პოეტებს პაოლო იაშვილს, სიმონ ჩიქოვანს, გიორგი ლეონიძეს, ქართული თეატრის მსცოვან მოღვაწეს ვალერიან გუნიას.

ბაღდათის (ახლანდელი მაიაკოვსკი) უხუცეს ადამიანებს დღესაც კარგად ახსოვთ ჰიტარა ვლოდია, რომელიც 1893 წლის 19 ივლისს დაიბადა ამ სოფელში. როცა წამოიზარდა, სულითა და გულით შეუყვარდა ქართული სიმღერები, განსაკუთრებით კი „სულიკო“. ხშირად ღიღინებდა — ბაღდათელი ბიჭი ვარ, მიყვარს მთებში ხეტიალიო...

თავისი სიცოცხლის პირველი ცამეტი წელიწადი მაიაკოვსკიმ საქართველოში გაატარა. ბაღდათელ ბავშვებთან თამაშის დროს ვლოდიამ და მისმა უმცროსმა დამ ოღღამ კარგად ისწავლეს ქართული. წლები გავიდა და უკვე მსოფლიოში სახელმოხვეჭილი პოეტი ამაყობდა ქართული ენის ცოდნით, საქართველოთი და ამბობდა: „დიახ, ქართველი ვარ!“, ცნობილია მაიაკოვსკის საქართველოსადმი დიდი სიყვარულით აღსავსე სიტყვები:

ერთი ბაბუა
მყავს სეხელი,
ერთიც კახაბი,
დაბადებით კი
მე ქართველი ვარ...

პოეტი საქართველოს სამოთხეს ადარებდა. ლექსში — „ვლადიკავკაზი-თბილისი“ მაიაკოვსკიმ გულახდილად თქვა, რომ მას არა სწყამს არც უდიმი და არც სამოთხე, მაგრამ

ალბათ, საქართველო
ედემად გამოჰყვეს,
მასზე თუ გალოგდნენ
მგოსნები...

ამავე ლექსში ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს შორის პოეტი ასახელებს თბილისელ მუშას არსენ ჯორჯიაშვილს და მისი სახელით ამბობს:

და აი მე ვისვრი,
მე, გმირი არსენა,
ყუმბარას იმ ცხრაას
ხუთისას

პოეტი სიხარულით აღნიშნავს რომ საქართველოში დროშებს ფრენს ბოლშევიკური:

დიახ, ქართველი ვარ
ახალი ნაციის,
არც დავიწყებულის
მხარისა,
მე შემავალი ვარ ერთ
ფედერაციის
საბჭოთა დიდ მთა და
ბარისა...

საქართველოს ბუნებით მოხიბლული პოეტი ეტრფის ქართულ მიწას და ამაყად დადის იქ, სადაც დაიბადა და აღიზარდა. იგი აღტაცებით ამბობს — „გიტარას სიმღერას ვამღერდი ერთს“:

მხოლოდ შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის
მოუცია მაღლიდან
ღმერთს.

ვლოდია მაიაკოვსკი მამამ ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში მიიბარა, სადაც 1906 წლამდე სწავლობდა. მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, თეატრი ხიდის ახლოს, მაღალ კედრებსა, წერწეტ ნაძვებსა და აყვავებულ მაგნოლიებს შორის დგას დღეს ქუთაისის ყოფილი გიმნაზიის ლამაზი ორსართულიანი შენობა. მის კედლებზე მიკრულ თეთრ მარმარილოს დაფაზე ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი: „ვლადიმერ მაიაკოვსკი — ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი — სწავლობდა აქ 1902-1906 წლებში, აქტიურად მონაწილეობდა მოწაფეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში 1905 წელს“.

უკანასკნელად მაიაკოვსკი საქართველოში ჩამოვიდა 1927 წლის დეკემბერში. პოეტი გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში, რუსთაველის სახელობის თეატრში, ხელოვნების სასახლეში, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში და მუშათა ცენტრალურ კლუბში. იგი კითხულობდა თავის ახალ ნაწარმოებებს. მისმა გამოსვლებმა დრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

მაიაკოვსკის უყვარდა საქართველო, თავისი ბავშვობისა და ყრმობის წლებთან დაკავშირებული ადგილები — ბაღდათი, ქუთაისი, თბილისი.

ვასილ ლაფერაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

მ ი ს ი შთამაგონებელი მუსიკა

მუსიკის უსაზღვრო სიყვარულმა, უზადო ნიჭმა და განსაცვიფრებელმა შრომისმოყვარეობამ რთულ და მიმზიდველ ხელოვნებამდე — კომპოზიტორობამდე მიიყვანა. შთამაგონებელმა, ეროვნული სურნელით აღსავსე ქმნილებებმა კი საქვეყნო აღიარება და დიდი ჯილდოები მოუტანა.

ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ალექსი მაჭავარიანისათვის მუსიკა იქცა სულიერ მოთხოვნილებად, განუყრელ თანამგზავრად.

ვინ მოთვლის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი სიხარული იგემა, მღელვარების რამდენი წუთები... აბა, რა დავიწყებს 40-იან წლებს, როცა პირველად გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე და პირველივე საფორტეპიანო ნაწარმოებით — „ხორუმით“ დაიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება.



პირველ წარმატებას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... დღითიდღე იზრდებოდა ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებთა რიცხვი, მატულობდა მისი მუსიკის თაყვანისმცემელთა რაოდენობაც. კომპოზიტორი თავის კალამს ცდის სხვადასხვა ჟანრში — წერს ოპერას „დედა და შვილი“ (ილია ჭავჭავაძის მიხედვით), რომანსებს— „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „არ დაიდარდო, დედაო“, „ცისა ფერს“, სიმფონიურ პოემას „გმირის სიკვდილზე“, საზეიმო უვერტიურას — „ხალხის რჩეული“, ორატორიას — „ჩემი საშობლოს დღე“, საფორტეპიანო კონცერტს, სიმფონიას, საგუნდო ნაწარმოებს...

შემოქმედებით წვაში გარბოდნენ წლები... კიდევ უფრო იკვეთებოდა კომპოზიტორის წერის მანერა, ფართოვდებოდა შემოქმედებითი დიაპაზონი. იგი მიისწრაფის სიახლისაკენ, თავის შემოქმედებას ამდიდრებს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების მიღწევებით, საგრძნობლად აფართოებს ქართული მუსიკის ეროვნულ ფარგლებს, პოეტურად და რომანტიკულად შეიგრძნობს თანამედროვეობას, ქმნის ამაღლებულ, რომანტიკულად შთაგონებული მელოდიკის შესანიშნავ ნიმუშებს, რომლებმაც მას, როგორც კომპოზიტორს, საერთო აღიარება მოუპოვეს.

1950 წელს შესანიშნავი საგიოლინო კონცერტისათვის კომპოზიტორს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

დაუვიწყარია მისთვის 1957 წელი — ბალეტ „ოტელოს“ პრემიერა, ტრიუმფული წარმატება, მილოცვები, ხოტბის რეცენზიები... კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანს „ოტელომ“ მრავალრიცხოვან მუსიკისმოყვარულთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ მაჭავარიანის ამ ქმნილებიდან იღებს სათავეს ქართული მუსიკალური შექსპირიანა. ბალეტის მუსიკა ბრწყინვალედ გადმოსცემს შექსპირის ნაწარმოების პათოსსა და სიდიადეს.

ბალეტის შემდეგ კომპოზიტორი მიზნად ისახავს ოპერის ენით აამეტყველოს შექსპირის ნაწარმოებები — მუშაობს ოპერა „ჰამლეტზე“, პარალელურად კი ქმნის ბალეტ „ვეფხისტყაოსანს“ შოთა რუსთაველის გენიალური პოემის მიხედვით. კომპოზიტორი ბევრს მუშაობს აგრეთვე კინომუსიკის დარგში, წერს მუსიკას დრამატული სპექტაკლებისათვის.

ალექსი მაჭავარიანის ყურადღება მიიპყრო ბუნების მგოსნის — ვაჟა-ფშაველას პოეტურმა მემკვიდრეობამ, პოეზიამ, რომელიც დაუშრეტელი წყარო გახდა ქართველი კომპოზიტორებისათვის. აკაკისა და ილიას შემდეგ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ყველაზე ფართოდ აისახა მუსიკალურ ხელოვნებაში.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხუთი ნიმუში დაედო საფუძვლად ალექსი მაჭავარიანის ვოკალურ-სიმფონიურ ციკლს „ხუთ მონოლოგს“. ეს არის კომპოზიტორის პირველი სიტყვა ვაჟას ტექსტებზე. მონოლოგების ვოკალურ პარტიაში ოსტატურად ჩაქსოვილია აღმოსავლეთ საქართველოს შთის კილოს თავისებურებანი და სასიმღერო სურნელება, საორკესტრო თანხლება კი ხასიათდება თანამედროვე, ახალი სტილით, რთული ჰარმონიული ენით, პოლტონალობით. მაჭავარიანის ამ ნაწარმოებმა სპეციალისტთა და მუსიკოსმოყვარულთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, კომპოზიტორმა კი — რუსთაველის სახელობის პრემია. ეს დიდი ჯილდო მას კიდევ უფრო მეტს ავალებს, ახალი ენერგიით აღავსებს და მოუწოდებს კვლავაც ჩვეული ჰაბუკური გატაცებით იშრომოს პედაგოგიურ თუ შემოქმედებით ფრონტზე, კვლავაც აღუზარდოს სამშობლოს ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნიჭიერი თაობა, შექმნას ემოციური, ცხოველი ტემპერამენტითა და ეროვნული კოლორიტით, პოეტური სინატიფითა და რომანტიკული მშვრეტელობით აღსავსე ქმნილებანი...

ეთერ ლონდარიძე,
მუსიკისმცოდნე.

დაიდგმება კომპოზიტორის ძეგლი

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა თბილისში დაიდგას გენიალური კომპოზიტორის ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე მერაბ გერძენიშვილი. იგი აღიმართება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბაღში.

სოციოლოგის, ეკონომისტისა და მოგზაურის თვალით

ახალი წიგნები

„...ზრიად საინტერესო იყო შეხვედრები და საუბარი, მაგალითად, ქალბატონ ნინო სალიასთან და პროფესორ ჯალისტრატე სალიასთან — ქართველოლოგიური ჟურნალის „Bedi Kartlisa“-ს რედაქტორ-გამომცემლებთან. ისინი ვინახულე მათ ოჯახში, რაც არსებითად სხვებიც ქართველოლოგიური ჟურნალის რედაქციაც არის. სალიების ოჯახი ამ ჟურნალით დასავლეთის ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაციის სასარგებლო საქმეს ეწევა. ჟურნალში თანამშრომლობენ უცხოეთში მცხოვრები ცნობილი ქართველოლოგი მეცნიერები, პროფესორები იულიუს ასფალგი, ჟერარ გარიტი, რენე ლაფონი, დევიდ ლანგი, გერტრუდ პერი, კარლ შმიდტი, რობერტ სტივენსონი, ჰანს ფოქტი და სხვანი. აქ იბეჭდება აგრეთვე ნაშრომები გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერებისა, როგორიც არიან აკადემიკოსები: გიორგი ჩუბინაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, პროფესორები გრიგოლ ჩხიკვაძე, მიხეილ ჩიქოვანი, იოსებ მეგრელიძე.

პარიზში როგორც სალიებთან, ისე სხვებთანაც შეხვედრები მქონდა წინა წელსაც. მაგალითად, ქალბატონ მედეა ღამბაშიძესთან (მასთან გავეცანი ქართველების დიდ ჯგუფს), ქალბატონ ლიდა ნოზაძესთან და სხვებთან. ერთ-ერთ ოჯახში მისახსოვრეს ნიკო ნიკოლაძის გაზეთ — „Обзор“-ის (იცვლოდა თბილისში 1878-1881 წლებში) სპილენძის ქლიშე, რაც ახლა ჩემს სამუშაო მაგიდას ამშვენებს. საბოლოოდ ის, ცხადია, ქართული და ადგილობრივი პრესის, ბეჭდვითი სიტყვის ჯერ არარსებული მუზეუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი გახდება. სამწუხაროდ, რამდენადაც ვიცი, მე-19 საუკუნის არც ერთი თბილისური ჟურნალ-გაზეთის კლიშეს, გარდა ზემოხსენებულისა, ჩვენს დრომდე არ მოუღწევიაო...

ეს საინტერესო სტრიქონები ამოღებულია საბჭოთა ეკონომისტისა და სოციოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ პაატა გუგუშვილის წიგნიდან „სოციოლოგიური ეტიუდები“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1970-1971 წლებში ორ ტომად გამოუშვა.

ავტორი სოციოლოგთა და ეკონომისტთა მსოფლიო კონგრესების უშუალო მონაწილეა, საფუძვლიანად იცნობს უახლეს მარქსისტულ და ბურჟუაზიულ სოციოლოგიურ ლიტერატურას და თვითონაც ახალი საბჭოთა სოციოლოგიური ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. მისი „სოციოლოგიური ეტიუდები“ ფართო დიაპაზონისა და დიდი ერუდიციის შემოქმედის პროდუქტია და ცხოველი ინტერესით იკითხება.

I ტომი შეიცავს სოციოლოგიის ზოგადი და კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს, სტატიებსა და მიმოხილვებს.

II ტომში შევიდა სტატიები და ნარკვევები თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების, სამუშაო დროისა და მოცალეობის, კარლ მარქსის „კაპიტალის“ და სხვათა შესახებ.

აქვე წარმოდგენილია გამოკვლევები ქართული პრესის, პუბლიცისტიკის, პოლიგრაფიის, მეცნიერული თარგმნისა და ტერმინოლოგიის, საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრისა და მსოფლმხედველობის, საქართველოს დემოგრაფიული სტატისტიკისა და ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხებზე. წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე არასპეციალისტი მკითხველისათვის შედარებით ადვილად საკითხავი მასალა — მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

მაგრამ ავტორი არც აქ ღალატობს იმთავითვე აღებულ გეზს. იტალიასა თუ თურქეთში, ინგლისსა თუ საფრანგეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებში იგი მოგვითხრობს ძველი, ახალი და უახლესი ხელოვნების ძეგლებზე, ქალაქსა და სოფელზე, ფაბრიკასა და ქარხანაზე, კლასობრივ-პოლიტიკურ ბრძოლებსა თუ საწარმოო-ეკონომიკური მმართველობის აპარატზე. და ყოველთვის და ყველგან ავტორი სოციოლოგია, ეკონომისტია და ხშირად ამ ასპექტით აქვს წარმოდგენილი და განხილული ყოველი მოვლენა. საინტერესოა ისიც, რომ პროფესორი პაატა გუგუშვილი ყველგან ეძებს ძველი თუ ახალი ქართული კულტურის კვალს, აქვს საინტერესო შეხვედრები ჩვენს თანამემამულეებთან თუ ცნობილ ქართველოლოგ მეცნიერებთან. ამ მხრივ ნიშანდობლივია, მაგალითად, პარაგრაფი „კოლხეთი და არგონავტები ბირმინგემის უნივერსიტეტში“, „ქართველები თურქეთში“ და სხვა საინტერესო ცნობები; საყურადღებოა აგრეთვე ავტორის შეხვედრები მსოფლიოს ცნობილ მეცნიერებთან, გამორჩენილ და უბრალო ადამიანებთან.

მეორე ტომის ერთ-ერთი თავი — „საქართველოს მოსახლეობა 160 (1800-1959) წლის მანძილზე“ ქართული დემოგრაფიის ფუძემდებლური ნაშრომია. მასში მეცნიერულად არის გაშუქებული ქართველი ხალხის რაოდენობრივი განვითარების სამანები. ეს ისეთი გამოკვლევაა, რომელიც ქართველი ერის ყოველმა მოჭირნახულემ დიდი გულმოდგინებით უნდა წაიკითხოს.

შეუძლებელია საგაზეთო სტატიაში უბრალო ჩამოთვლაც კი ყველა იმ საკითხისა, რასაც პროფესორი პაატა გუგუშვილი თავის ნაშრომში ეხება. აღვნიშნავთ კიდევ ერთს: მეორე ტომი მთავრდება გამოკვლევით: „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები“. არსებითად ეს არის მასობრივი ანკეტური გამოკითხვის (10 000 ანკეტა, 200 000 პასუხი!) საფუძველზე დაწერილი პირველი ქართული სოციოლოგიური გამოკვლევა.

პროფესორი პაატა გუგუშვილი განიხილავს ჩვენს სინამდვილეში გამოვლენილ, ზოგჯერ საკმაოდ წინააღმდეგობრივ, მაგრამ საბოლოოდ ყოველთვის საიმედო და ოპტიმისტური მოვლენების მთელ კოლოზიას და ასკვნის:


„ხანგრძლივმა სისტემატურმა დაკვირვებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჩვენი, კერძოდ, ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი უმრავლესობა. მიუხედავად ხსენებული დიდი სიღრმისეული ძვრებისა, მტკიცედ და წმინდად ინარჩუნებს და ავითარებს ქართველი ერის უდიდესი სიკეთით აღსავსე მონოლითურობის დიდებულ ტრადიციას და სავსებით ნორმალური თაობათაშორისი და შინაგანი წინააღმდეგობის ვითარებაში, მამებთან ერთად, მთელი ენერგიით იბრძვის მთლიანად უკეთესი მომავლისაკენ მისწრაფებულ ძალთა კონსოლიდაციისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის“.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეურჩევთ, ყურადღებით გაეცნონ ამ საინტერესო ნაშრომს, რომელიც მრავალ ახალ სასარგებლო სიტყვასა და მოსაზრებას შეიცავს.

ადამიანთა კეთილშობილების გაღვიძებული სიკეთე

ამ დღეებში ჩვენმა მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს საქართველოს სახკომთა მილიციის 50 წლისთავი. საზეიმო სალამოზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა — სიმართლის დაცვა მხოლოდ სამართლიან ადამიანებს შეუძლიათ. იქნებ ამიტომაც არის, რომ მილიციაში სამუშაოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი მიდიანო.

დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველებს გვინდა გავაცნოთ საქართველოს მილიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ნოდარ გვახარია.



სურათებზე: ნოდარ გვახარია — თბილისის კალინინის რაიონის მილიციის უფროსი; ეს იყო გუშინ — შეუპოვარი ბრძოლა „ცისფერ მოედანზე“.

ოლანდიელი წყალბურთელები მაშინ მსოფლიოში უძლიერესებად ითვლებოდნენ, ჩვენი ქვეყნის ნაკრები კი პირველ ნაბიჯებს დგამდა საერთაშორისო სარბიელზე. და, რა თქმა უნდა, ამ ორი ქვეყნის გუნდების შეხვედრაში, რომელიც 1955 წელს ამსტერდამში გაიმართა, სპორტული სამყარო მასპინძელთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. მოხდა კი პირიქით: საბჭოთა წყალბურთელებმა ანგარიშით 6:4 დააპარტახეს მრისხანე მეტოქე. ამ მატჩის გმირი იყო ქართველი წყალბურთელი ნოდარ გვახარია, რომელიც, როგორც კოლანდიის პრესა წერდა, თვალსა და ხელშუა უსხლტებოდა გამოცდილ მცველებს და უძლიერესი ტყორცნებით ბურთი ბურთზე გაჰქონდა. ნოდარმა იმ დღეს ხუთი ბურთი გაიტანა. ბელგიელმა მსაჯმა ჰაუერტმა კი მხოლოდ სამი ჩათვალა. ქართველი სპორტსმენი ისეთი ძალით ტყორცნიდა ბურთებს, რომ ორჯერ იგი თვალისთვის შეუმჩნეველი სისწრაფით შევარდა მოწინააღმდეგის კარში და ასევე სწრაფად დააბრუნა უკან ზომაზე მეტად დაჭიმულმა ბადემ.

თამაშის დამთავრების შემდეგ მასპინძელთა მეკარე, რომელმაც ყველაფერი დაინახა, ნოდართან მივიდა და სინანული გამოთქვა მსაჯის შეცდომის გამო. თითებით ანიშნა — შენ სამი კი არა, ხუთი ბურთი გაიტანეო. შემდეგ ცერი აღმართა და ორი სიტყვა: „გვახარია ეუსტრა“ — რამდენჯერმე გაიმეორა.


დიახ, ძალზე ბევრი უსიამოვნება მიუყენებია ნოდარის მოულოდნელ ტყორცნებს მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებისათვის: იუგოსლაველი წყალბურთელი კოვაჩიჩი დიდხანს ატარებდა მსოფლიოში უძლიერესი კარის დარაჯის სახელს. 1955 წელს იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩის დროს ნოდარმა კოვაჩიჩის კარში აუზის ცენტრიდან (!) ორი ბურთი გაიტანა, რამაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. გაოგნებული კოვაჩიჩი მეორე დღეს ნოდარს ეხვეწებოდა — თუ ძმა ხარ, კიდევ დამირტყი ასე შორიდან, მინდა ჩემი თავი შევამოწმოო.

მელბურნის ოლიმპიური ასპარეზობა. საბჭოთა ნაკრებს მატჩი აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან. ამ შეხვედრაზე დამოკიდებულია ბრინჯაოს მედლების ბედი. ტრიბუნები გერმანელთა გუნდის გულშემატკივრებს აევსოთ, მათი ყვირილითა და შეძახებით გათამამებული გერმანელი წყალბურთელები გამუდმებით უტევდნენ. უცებ ხმაური შეწყდა: ნოდარმა მოწინააღმდეგეს ბურთი წაართვა და თვითონვე დაიჭრა წინ. გერმანელების კარის სიახლოვეს შეჭრილა. შემდეგ ზურგით შეტრიალდა და ხელუკუღმა ტყორცნა ბურთი. იგი ბადეში გაეხვია. ამ მატჩში ნოდარმა კიდევ ორი ბურთი გაიტანა და საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანა.

ნოდარ წყალბურთის კაშკაშა ვარსკვლავი იყო და მისი ვირტუოზული თამაში ერთნაირად მოსწონდათ თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, რომში, კოპენჰაგენში, ბუდაპეშტსა თუ ბელგრადში....

დიდი სპორტიდან დიდი სპორტსმენის შესაფერისად მკერდგამშვენებული წავიდა. საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, 1957 წლის ევროპის თასის მფლობელი, ბუქარესტის 1953 წლის ფესტივალის ჩემპიონი, ევროპის 1958 წლის პირველობის პრიზიორი და 1956 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი — აი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საბჭოთა კავშირის წყალბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის ნოდარ გვახარიას სპორტული ნადვლის არასრული სია.

მაგრამ ეს იყო გუშინ. დღეს ნოდარ გვახარია თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსია. რა არის ნოდარისათვის მილიციელის ლურჯი მუნდირი? მოწოდება თუ რომანტიკა? ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ოთხი წელიწადია ნოდარ გვახარია ადამიანთა სიმშვიდეს სდარაჯობს და ამ ხნის განმავლობაში იმდენი სიკეთის გაღვიძება მოასწრო, რომ მისი სიტყვა და საქმე, პირდაპირობა და ნებისყოფა ყველამ იწამა.



ნოდარ გვახარიას კაბინეტში სწავლულსაც შეხვდებით და მძარცველსაც, ერთადერთი შვილის ცუდი ყოფაქცევით შეწუხებულ დედასაც და შუამავალსაც, სამეულს რომ არ აძლევს —ნოდარ, მეგობრობას გაფიცებ, იმ ჩემ ნათესავს ხულიგნობა ამ ერთხელ აპატიე და ამიერიდან აღარაფერს დააშავებსო.

ის კი უსმენს ყველას მთელი გულისყურით. მოთმინებით ცდილობს თითოეულს შესაფერისი პასუხი გამოუძებნოს.

სამი შვილის მამამ კარგად იცის, რომ დღევანდელ ბიჭუნებსა და გოგონებს ხვალ მამა-პაპათა სასახელო საქმეების დაგვირგვინება დაეკისრებათ. მომავლის მშენებელი თითოეული ადამიანი ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი უნდა იყოს. ამიტომ იგი დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა სწორ აღზრდას. — საჭიროა მოზარდი შევაჩვიოთ წესრიგს, განვავითაროთ მათში მეგობრობის, კოლექტივის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა, ჩავაბათ სპორტულ საქმიანობაში.

ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი დღითიდღე მცირდება, სასიხარულოა, მაგრამ ვიდრე არსებობენ ქურდები, მექრთამეები, ქორვაჭრები, ხულიგნები, ყურადღების წუთით მოდუნებაც კი არ შეიძლება, — ამბობს ნოდარი და ამ რამდენიმე სიტყვის მიღმა იმალება წესრიგის დამცველთა რთული და საპატიო ამოცანები.

იგი კეთილშობილი და რაინდული ბუნებისაა. მაგრამ როცა საქმე საქმეზე შიდგება და საჭიროება მოითხოვს, ბოროტმოქმედს ხელითაც შეებმება და იარაღითაც. ეს ერთხელ და ორჯერ კი არა, მრავალჯერ ყოფილა და როგორც წესი ყოველთვის გაუმარჯვნია.

დღევანდელი მილიციის მუშაობაში მთავარია იმ მიზეზების აღმოფხვრა და დროზე გამოშკარავება, რასაც შეიძლება დანაშაული მოჰყვეს. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძირშივე აღკვეთა კი მხოლოდ ყოველდღიური დაუზარელი მუშაობით შეიძლება. რაკი ამგვარი საქმიანობა მილიციელთა პრაქტიკაში ერთ-ერთი მთავარია, ჩვენ უძლურნი ვიქნებოდით, რომ არ გვქონდეს ფართო საზოგადოების მხარდაჭერა, — ამბობს ნოდარი. და თუ მაინც მოხდება დანაშაული, მის ჩადენას დიდ ბეს არა აქვს. მილიციის მუშაობა ხელშია თანამედროვე კრიმინალისტური ტექნიკა, რადიოკავშირის საშუალებები, დაცვის სიგნალიზაცია, სპეციალურად მოწყობილი ავტოტრანსპორტი, ელექტროგამომთვლელი მანქანები, სატელევიზიო აპარატურა, იზოტოპებისა და ფოტოელემენტების ტექნიკის გამოყენებაზე დაფუძნებული ხელსაწყოები.

სპორტში გატარებული წლები, — თქვა ნოდარმა, — ჩემს ცხოვრებაში — „ბურთი წყალზე“ და „ცისფერ მოედანზე“ აღვწერე. ვცადე მკითხველისათვის მეგრძნობინებინა პატიოსან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების სიხარული, ის ბედნიერება, რომელსაც განვიცდიდით ჩვენი გამარჯვების პასუხად უცხოეთის სტადიონებზე საბჭოთა კავშირის ჰიმნი რომ ჟღერდა. როდესაც ლურჯი მუნდირის გახდის დროც დადგება, მილიციაში გატარებულ წლებზე, აქ ნანახსა და განცდილზეც დაწვრილებით მოვუთხრობ მკითხველს. ეს წიგნი, ალბათ, ყველაზე მეტად ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას დააინტერესებს. გაიგებენ, როგორი მონდომებით, სიყვარულით, შეუპოვრობით ვიბრძოდით მათი მშვიდი ძილისათვის, რამდენი ახალგაზრდა დავუბრუნეთ სწორ გზას, რამდენჯერ დარჩენილა შეუმჩნეველი გარეშე თვალისათვის მილიციელის მიერ გაღებული სიკეთე...

რევაზ მამალაძე.

სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი



სპორტის მოყვარულთა ეურადღების ცენტრში ახლა საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაა, რომელსაც თავისი ჯრანდიოზულობით ოლიმპიური ასპარეზობანი თუ შეედრება.

ოცი დღეა მოსკოვის სპორტულ ბაზებზე ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ეცილება ერთმანეთს სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს. თითოეული სპორტსმენის წარმატება ახლა ერთიორად ფასობს. საქმე ის არის, რომ სარბენ ბილიკზე, საჭიდაო ხალიჩაზე თუ საცურავ აუზში მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი გუნდებს აძლევს ჩასათვლელ ქულებს, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავენ რესპუბლიკის სპორტულ დონეს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები გვაინტერესებს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები სპარტაკიადაზე ქარგად გამოდიან. უკვე გვყავს სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები და პრიზიორები. დღეს გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

ძალოსანი **დიტო შანიძე**. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა არა მარტო ოქროს მედალი მოიპოვა ქვემსუბუქ წონაში, არამედ ატაცაში ევროპის ახალი რეკორდიც დაამყარა (120,5 კგ).

გაზეთმა „პრავდამ“ გულთბილი სტრიქონები მიუძღვნა სპარტაკიადის სტარტზე ჩვენი რესპუბლიკის ორი წარგზავნილის გამარჯვებას. აი რას წერს იგი: „სპარტაკიადები მუდამ გამოავლენენ ახალ სახელებს. წლევანდელი აღმოჩენაა **ანატოლ მოშიაშვილი**. მან არა მარტო გაიმარჯვა 110 მეტრზე თარჯრბენის ფინალურ შეჯიბრებაში, არამედ სპარტაკიადის ახალი რეკორდიც დაამყარა — 13,9 წამი. სამმხტოვნელთა შეჯიბრება კი, რასაკვირველია, სოხუმელმა **ვიქტორ სანეევმა** მოიგო — 17,16 მეტრი (ესეც სპარტაკიადის რეკორდია და საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში“.

ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის მაგალითი გვიჩვენა ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა **რომან რუხაძემ**. საქმე ის არის, რომ სპარტაკიადის წინ რომანი შეუძლოდ გახდა და მის გამოსვლას საჭიდაო ხალიჩაზე არავინ ფიქრობდა. მაგრამ ვაჟკაცმა ვაჟკაცის წესს არ უღალატა და მაინც ჩაება ბრძოლაში. შემართებამ, შეუპოვრობამ თავისი შედეგი გამოიღო — რომან რურუას სპორტულ ნადავლთა სიას საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულიც მიემატა.

შესანიშნავად იასპარეზა 57 კილოგრამი წონის მოჭიდავემ **ჯემალ მეგრელიშვილმა**. მან ყველა მოწინააღმდეგეს სძლია და ღირსეულად ავიდა სპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ოქროს ორი მედალი მოიპოვეს ქართველმა სამბისტებმა, ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდნენ სოსო ჭარელი და გურამ გოგოლაური.

13 წლის თბილისელი მოსწავლის ტანმოვარჯიშე **ნინა დრონოვას** გამოსვლამ სპარტაკიადაზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ტანვარჯიშის მოცარტმა“, როგორც ნინას ჟურნალისტებმა უწოდეს, ასპარეზობის პირველ ეტაპზე გოგონათა შორის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მეორე დღეს კი, როდესაც ნორჩი ტანმოვარჯიშეები ერთმანეთს ცალკეულ იარაღებზე ეჯიბრებოდნენ, დრონოვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ბრწყინვალე მომავლის მქონე დიდოსტატია — ოთხსავე იარაღზე პირველი ადგილი დაიჭირა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელმა გოგონამ ნებისმიერ თავისუფალ ვარჯიშში უმაღლესი — 10 ქულა დაიმსახურა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ ქართველმა ნიჩბოსნებმა. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ ბაიდარისა და კანოეს ოსტატები. ჯერ იყო და, ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ფოთელმა სპორტსმენებმა **ზურაბ ხოფერიამ** და **ნოდარ ჩარაევმა**. ფინალის საგზური ორადგილიანი კანოეებით 1.000 მეტრზე რბოლაში მათ წინასწარ ტურნირშივე მოიპოვეს, ხოლო ფინალში კი დაადასტურეს, რომ მათი წარმატება კანონზომიერი იყო.

შემდეგ საქართველოს გუნდს ორადგილიანი ბაიდარებით 1.000 მეტრზე შეჯიბრებაში ოქროს მედლები მოუტანეს **ავერი მატკავამ** და **ვალერი კრატასუკმა**.


რაც შეეხება მშვილდოსანთა ასპარეზობას, აქ სპეციალისტებმა № 1 სენსაციად მიიჩნიეს თბილისელი ქალიშვილის **ლუბოვ ასატუროვას** გამოსვლა. იგი პირველთანარიგოსან სპორტსმენად ეწვია მოსკოვს, იქიდან კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე მას ოქროს 3 და ბრინჯაოს 2 მედალი გადასცეს.


სპორტული ქრონიკა

გეტეგორგის (შვეცია) ჭადრაკის მესვეურებმა თავიანთი საჭადრაკო კლუბის დაარსების 450 წლისთავისადმი მიძღვნილ ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ მიიწვიეს მსოფლიოს ორი ჩემპიონი — ნონა გაფრინდაშვილი და ბორის სპასკი. გამგზავრების წინ სპასკიმ თქვა: „მიხარია, რომ ნონასთან ერთად მომიხდება ტურნირში თამაში. მე ნონას დიდი თაყვანისმცემელი ვარ. ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა ჭადრაკის დაფასთან საინტერესო იქნება. მთელი ძალით და მონდომებით ვითამაშებ. ალბათ, გაფრინდაშვილიც ასე ფიქრობს. კარგად მახსოვს ნონას საბრძოლო ყაიმები კერესთან და გელერთან“.

თბილისის დინამოელებმა კიდევ სამი მატჩი გამართეს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მათ ორი გასვლითი თამაში კიევის „დინამოსთან“ და ლვოვის „კარპატთან“ ფრედ (1:1, 2:2) დაამთავრეს, ხოლო 20 ივლისს თავის მოედანზე 4:1 სძლიეს მინსკის „დინამოს“. დღეისათვის თბილისელებს თექვსმეტი თამაშიდან თვრამეტი ქულა აქვთ და მეწუთე ადგილზე იმყოფებიან.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20 ივლისს გაიმართა ფინალური ასპარეზობა ნორჩ ფეხბურთელთა შორის „ტყავის ბურთის“ პრიზზე. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ქუთაისის „კოლხეთისა“ და ბათუმის „წითელი ეშმაკუნების“ გუნდები. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერია. აქ ქუთაისელებმა იმარჯვეს და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.





ამჯერად ბულგარეთში

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში საგასტროლოდ იმყოფება თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი. ნორჩი მოცეკვავეები ორი კვირაა კონცერტებს მართავენ სოფიის პიონერთა სასახლეში და ბულგარეთის ოთხ სხვა ქალაქში.

ეს თვითმოქმედი კოლექტივი 1961 წელს ჩამოყალიბდა. მას სათავეში ჩაუდგა მაშინ ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი თამაზ გოგოტიშვილი. პირველსავე რეპეტიციაზე ანსამბლის კონსულტანტებად მოიწვიეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

და აი უკვე ათი წელიწადია ნიჭიერი ნორჩები დღითიდღე იმაღლებენ ოსტატობას. მათ ხელოვნებას ტაშს უკრავდნენ მოსკოვში, კიევში, ტალინში, რიგაში, ბაქოში, ლენინგრადში, გორკში. მოსწავლეებმა წარმატებით გამართეს გასტროლები უნგრეთსა და რუმინეთში.

განსაკუთრებით შარშანდელი წელიწადი დაახსომდათ პატარებს — თბომავალ „შოთა რუსთაველზე“ ივლისში 500-ზე მეტ უცხოელ ტურისტს უჭვენეს თავიანთი ნატიფი ხელოვნება. პატარა მოცეკვავეების ოსტატობით მოხიბლულმა უფროსებმა ისინი ნებტუნის სიგელით დააჯილდოეს.

თბილისელი მოსწავლეები ამ დღეებში დაბრუნდებიან სამშობლოში.

სურათებზე: მანანა ჩხეიძე და გია ჭოლოშვილი ასრულებენ ცეკვას „მიპატიჟებას“; საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ქორეოგრაფი თამაზ გოგოტიშვილი და ასისტენტი ავთანდილ ცეცაძე

39-ე საშუალო სკოლის ნორჩ მოცეკვავეთა შორის; ცეკვა „მთიულური“ მოსამზადებელი კლასის მოსწავლის ალეკო ნიკოლაიშვილის შესრულებით.


გივი კიკვაძისა და ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

რუსთაველის სახელობისა — გერმანიაში

თხიოლე წლის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში — ქალაქ ჰენიგსდორფის ფოლადჩამომსხმელ კომბინატში შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომელიც ჩამოაყალიბა გერმანელმა მწერალმა და ჟურნალისტმა გიუნთერ შტაინმა. წრემ მიზნად დაისახა ქართული პოეზიის შესწავლა და ჩვენი საუკეთესო პოეტების ნაწარმოებთა თარგმნა.

1969 წელს, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა ქართული კულტურის დღეები, წრეს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა.

წლეულს ნაყოფიერი საზოგადოებრივი და კულტურული საქმიანობისათვის შოთა რუსთაველის სახელობის წრესა და მის ხელმძღვანელს გადაეცა თეოდორ ფონტანეს სახელობის პრემია, ამ დღეებში კი წრემ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირების პრემია ხელოვნების დარგში, მასვე გადაეცა მუშათა XIII ლაიფციგის ფესტივალის ოქროს მედალი.





ათი წლის შემდეგ

ერთი მილიონი კაცი ისვენებს ყოველწლიურად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ სოციოლოგებს მიაჩნიათ, რომ უკვე 1980 წელს კავკასიაში ჩამოვა დაახლოებით 3,8 მილიონი დამსვენებელი, რომელთაგან მეტი ნაწილი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებს მოაშურებს.

საქართველოს სახელმწიფო ქალაქმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტმა შეადგინა შავი ზღვის საკურორტო რაიონის რაიონული დაგეგმარების პროექტი, რომლის პირველი რიგი 1980 წლისათვის განხორციელდება. მის დამუშავებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ბევრი სამეცნიერო დაწესებულება, გამოჩენილი სპეციალისტები — კურორტოლოგები, ექიმები, ოკეანოლოგები.

პროექტი ითვალისწინებს შავი ზღვის სანაპიროს კურორტების სიმდიდრეთა მაქსიმალურ გამოყენებას. მოხდება ძველი საკურორტო ზონების რეკონსტრუქცია, თავისუფალ ტერიტორიებზე გაშენდება პანსიონატები, სასტუმროები, ტურბაზები, კემპინგები, მოტოხასტუმროები, გაიყვანენ სპორტულ გზებს.

საინტერესოა სბრ კავშირში პირველი სამეცნიერო ცენტრი და ტურისტული კომპლექსი — ოკეანარიუმი, რომლის ფართობი 450 ჰექტარს მიაღწევს. აქ თავს მოუყრიან მსოფლიოს ფაუნას, აშენდება უნიკალური აკვარიუმი.

გეგმა ითვალისწინებს შავიზღვისპირეთის საკურორტო ზონაში მესამეული პერიოდის ძველი რელიქტური ფლორის დაცვას, შეიქმნება აგრეთვე ახალი ტყის მასივები. 1980 წელს საქართველოს შავიზღვისპირეთის ტყეები დაიჭერენ დაახლოებით 25 ათას ჰექტარს.

ქართული სამზარეულო

შემწვარი ძროხის ხორცი, ნივრით

ექვსასი გრამი ძროხის რბილი ხორცი ბოჭკოების განივად დაჭრით ბრტყელ ნაჭრებად და დაბეკვით. დააწყვეთ ცხიმიან ტაფაზე და შეწვით ორსავე მხრიდან. შეწვისას მოაყარეთ მარილი. შემწვარი ხორცი ჩააწყვეთ ღრმა ტაფაში. ტაფაზე, რომელზეც ხორცი იწვებოდა, ცხიმის დამატებით მოშუშეთ ალყა-ალყა დაჭრილი 5 თავი ხახვი, დაუმატეთ მარილთან ერთად დანაყილი 3 ჯბილი ნიორი, თქვენს გემოზე დანაყილი წიწაკა და ქინძი, დაასხით 3/4 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ. შემდეგ დაასხით ტაფაში ჩაწყობილ შემწვარ ხორცს, ერთი-ორჯერ წამოადუღეთ და გადმოდგით ცეცხლიდან.

ერბოკვერცხიანი მწვანე ლობიო

ერთი კილოგრამი ახალი მწვანე ლობიო დაარჩიეთ. დაამჭრიეთ თითო სანად ან ოთხად, გარეცხეთ ცივ წყალში, ჩაყარეთ მდუღარეწყლიან ქვაბში, დადგით ცეცხლზე, დაახურეთ ხუფი და მოხარშეთ. ხარშვისას დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, როცა ლობიო მოიხარშება და წყალს დაიშრობს, ჩაყარეთ მარილი, წვრილად დაჭრილი ექვს-ექვსი ღერი ოხრახუშში, ტარხუნა, ჭონდარი, კამა, პიტნა და ათი ღერი რეჰანი. შემდეგ დაუმატეთ ორასი გრამი ცხიმი, აურიეთ და მოშუშეთ. კარგად მოშუშულ ლობიოს შეურიეთ ერთი გათქვეფილი კვერცხი, აურიეთ, დაასხით ორი გათქვეფილი კვერცხი, მხოლოდ არ მოურიოთ, ზემოდან შეუსწორეთ თავი ისე, რომ ერბოკვერცხივით იყოს და გააჩერეთ ცეცხლზე ცოტა ხანს.

შვინდის საწებელა

ვადარჩეული, გარეცხილი შვინდი (500 გრამი) ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაფაროს, დადგით ცეცხლზე და ხარშეთ 10-15 წუთს. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგში ან საცერზე და გახეხეთ, მიღებულ მასალას დაუმატეთ დანაყილი 4-5 ძირი ქინძი, 1-2 ჯბილი ნიორი, გემოვნების მიხედვით წიწაკა მარილი და კარგად აურიეთ.

დაგეძებენ, მოგელიან

ივანე თედორეს ძე ღუტიშვილს,

დაბადებულს 1912 წელს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში, ეძებენ შვილები — **ცინარა, გულიკო,** შვილიშვილები — **ვაჟა, ქეთევან, ზაზა ჩალაძეები, თამარ, პაატა,** ნათლები **ნატმელაძეები,** და — ვერდისწული — **ია კერესელიძე,** მცხოვრებნი თბილისში, მარტყოფის ქუჩა № 12.

ლევან პარმენის ძე მშვილდაძეს,

დაბადებულს 1917 წელს ბოლნისის (მაიაკოვსკის) რაიონის სოფელ ობჩაში, ეძებს დედა — **ხერაფინა მშვილდაძე,** მცხოვრები სოფელ მეორე ობჩაში.

ივანე ვასილის ძე ჩიტრეკაშვილს,

დაბადებულს 1923 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში, ეძებს დედა — **ოლია,** ძმა — **შალვა,** და — **თამარ ჩიტრეკაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ მარტყოფში.

ეგნატე (ღუტუ) ალექსანდრეს ძე იოსელიანს,

დაბადებულს 1923 წელს მარაკოვსკის (ბაღდათის) რაიონის სოფელ პირველ ფერსათში, ეძებენ — ძმა — **გიორგი,** დები — **ვუგული, თინა (ციცინო), დარეჯან იოსელიანები,** მცხოვრებნი სოფელ პირველ ფერსათში.

არტემ სამსონის ძე კუჭავას,

დაბადებულს 1920 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ პირველ წყალტუბოში, ეძებენ ძმები — **ინდიკო, გიორგი უშანგი,** დები — **ჟენია, ეთერ ნაზი** და **ქეთო კუჭავები,** მცხოვრებნი წყალტუბოში, ლერმონტოვის ქუჩა № 17.

ალექსანდრე ერისტოს ძე შვანგირაძეს,

დაბადებულს 1920 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხენკურში, ეძებენ დედა — **მარო,** ძმა — **დავით შვანგირაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ცხუნკურში.

ნოე რომანოზის ძე შვანგირაძეს,

დაბადებულს 1918 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხენკურში, ეძებენ დედა — **ელისტი,** და — **ნინო,** ძმა — **შოთა შვანგირაძეები,** მცხოვრებნი წყალტუბოში, კალინინის ქუჩა IV შესახვევი № 6 ა.

ვანო დავითის ძე კვირიკაშვილს,

დაბადებულს 1913 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაჭრში, ეძებენ ძმა — **ფორე,** რძალი — **თამარ,** ძმისწულები — **ციცინო, გივი** და **დათო კვირიკაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ვაჭრში.

სერგო გიორგის ძე ქვანიას,

დაბადებულს 1909 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში, ეძებენ მეუღლე — **ნინო,** შვილები — **ავრორა, სერგო,** ძმა — **შალვა,** და — **რაისა ქვანიები,** მცხოვრებნი თბილისში, მელიქიშვილის ქუჩა № 9.

ავთანდილ (კუკუნია) ბიძგორის ძე კალანდაძეს,

დაბადებულს 1917 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ეძებენ დედა — **სონია,** ძმა — **გიორგი (კოკისა)** კალანდაძეები, მცხოვრებნი თბილისში, პავლოვის ქუჩა № 49.

ვასილ ნიკოლოზის ძე სტეფნიაშვილს,

დაბადებულს 1922 წელს მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში, ეძებენ დედა — **ოლღა,** მამიდა — **ბარბარე,** და — **ვარა,** ძმები **ოთარ, ვიგენტი სტეფნიაშვილები,** მცხოვრებნი წილკანში.

რედაქტორი

ვაჯტანგ ესვანჯია

აგვისტო

ქართული კალენდარი

აგვისტო — ზაფხულის ბოლო თვე ბევრ ღირსშესანიშნავ თარიღთან არის დაკავშირებული.

● *120 წლის წინათ, 1851* წლის 1 აგვისტოს დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი.

● 5 აგვისტოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 40 წლისთავი სრულდება.

● *ორმოცი წლის წინათ, 1931* წლის 8 აგვისტოს გაიხსნა ქართველ მწერალ-მოღვაწეთა მთაწმინდის მუზეუმი.

● 9 აგვისტოს 60 წელი უსრულდება ჩვენს შესანიშნავ მომღერალს, საქართველოს სახალხო არტისტს, დავით გამრეკელს.

● 15 აგვისტოს დაბადების 60 წლისთავს იზეიმებს შოთა ძიძიგური, ცნობილი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

● *100 წლის წინათ, 1871* წლის 16 აგვისტოს, დაიბადა გენიალური ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი. ქართველი და, საერთოდ, საბჭოთა ხალხი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს დიდი ზეიმით გადაიხდის.

● 17 აგვისტოს 65 წლისა გახდება საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე უჩა ჯაფარიძე.

● *20 წლის წინათ, 1951* წლის 18 აგვისტოს პირველი სატვირთო ავტომანქანა მისცა ქვეყანას ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ.

● *1901* წლის 23 აგვისტოს დაიბადა ბორის ძნელაძე, საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

● ზუსტად ერთი საუკუნის წინათ, *1871* წლის 26 აგვისტოს, გაიხსნა საქართველოში პირველი რკინიგზის პირველი უბანი — სადგურ ყვირილიდან (ახლანდელი ზესტაფონი) ფოთისაკენ გავიდა პირველი მატარებელი.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 6 კაპ.